

# სალოგოზრდა ვეროელი

გაზეთი გამოდის  
1921 წლიდან

10  
იანვარი  
ხუთშაბათი  
1991  
№ 3  
(11636)

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 10 კაპ.

## საბანგებო სხდომა

გუშინ, 9 იანვარს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხდომატა დაარსდა ბანგებო საპარტოვლო რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის საბანგებო სხდომა, რომელმაც მიიღო დადგინება სსრ კავშირის პრაქტიკის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულების შესახებ.

სსრ კავშირის პრაქტიკის ბრძანებულება, რომელიც არ ცნობს საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 11 დეკემბრის კანონს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ, ანტიკონსტიტუციურია, არაკანონიერად ჩაითვლება ბრძანებულების დაბრუნება კავშირიდან საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საინსტრუქციო მილიციის კვანძის გაშლის შესახებ, ვინაიდან ისინი მოქმედებენ საქართველოს ტერიტორიაზე და ასრულებენ თავიანთ მოვალეობას საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. — აღნიშნული დადგინებაში.

სრულად დადგინების ბრძანება შემოგთავაზებთ ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში.

### სსრ კავშირის ანტიკონსტიტუციური ბრძანებულებასთან დაკავშირებული მასალები

იხ. მე-2-3 გვ.

საპროტო სოციალისტური რესპუბლიკის კავშირის  
პრაქტიკის

### ბრძანებულება

საპარტოვლო სს რესპუბლიკაში 1990 წლის  
დეკემბერში მიღებული  
ჯოგირითი საკანონმდებლო აქტის გამო

სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საბჭომ 1990 წლის 20 სექტემბერს მიიღო დეკლარაცია, რომლის შესაბამისად სახალხო ოსეთის ავტონომიური ოლქი სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადდა.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭომ 1990 წლის 11 დეკემბერს მიიღო კანონი, რომლის შესაბამისად უქმდება 1922 წელს შექმნილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. ამავდროს საქართველოს სსრ კონსტიტუციიდან ამოღებულია დებულებანი, რომლებიც ეხება დასახლებულ ოლქს, და შემოღებულია რესპუბლიკის უფლება გააუქმოს ავტონომიური ოლქები.

სახალხო დეპუტატთა საბჭოს და რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ეს აქტები ეწინააღმდეგება სსრ კავშირის კონსტიტუციასა და სსრ კავშირის კანონებს, ავტონომიური ფორმირების სტატუსის შეცვლის შესახებ საკითხთა გადაწყვეტის დადგენილ წესს.

სსრ კავშირის კონსტიტუციის 87-ე მუხლის შესაბამისად, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი საქართველოს სს რესპუბლიკის შემადგენლობაშია. ნებისმიერი გადაწყვეტილება ავტონომიურ ფორმირებათა სტატუსის შეცვლის შესახებ, სსრ კავშირის კონსტიტუციის 73-ე მუხლის 1 პუნქტის, 108-ე მუხლის მე-2 პუნქტის და „სსრ კავშირისა და ფედერაციის სუბიექტებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ“ სსრ კავშირის 1990 წლის 26 აპრილის კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მას დაამტკიცებენ სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები. ამავდროს სსრ კავშირის კონსტიტუციით და სსრ კავშირის კანონებით დადგენილი ავტონომიურ ფორმირებათა სტატუსის შეცვლის შესახებ საკითხთა გადაწყვეტის წესი საქართველოს სსრ უზენაესი საბჭომ არ დაიცვა.

1990 წლის 12 დეკემბერს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ქალაქ ცხინვალის და ჭავჭავაძის რაიონის

ტერიტორიაზე საგანგებო წესები გამოაცხადა და დაადგინა მის რეალიზაციაში ჩაებას რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ნაწილები, აგრეთვე სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარები.

სსრ კავშირის კონსტიტუციის 127-ე მუხლის 1 და 2 პუნქტების საფუძველზე ვადაგენ:

1. სსრ კავშირის კონსტიტუციისა და „სსრ კავშირის კანონებისა და კანონმდებლობის სხვა აქტების მოქმედების უზრუნველყოფის შესახებ“ სსრ კავშირის 1990 წლის 24 ოქტომბრის კანონის შესაბამისად იურიდიული ძალა არა აქვს მიღების მომენტიდან და არ უნდა შეასრულოს სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანოებმა, საწარმოებმა, დაწესებულებებმა, ორგანიზაციებმა და მოქალაქეებმა საქართველოს სსრ და მის შემადგენლობაში მყოფი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ხელისუფლების ორგანოების მიერ მიღებული ამ ბრძანებაში დასახლებული აქტების დებულებანი, რომლებიც ეწინააღმდეგება სსრ კავშირის მოქმედ კანონმდებლობას.

2. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭომ და მთავრობამ, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივმა საბჭოებმა, რესპუბლიკის სამართალდამცავმა ორგანოებმა უზრუნველყონ სსრ კავშირის კონსტიტუციისა და სსრ კავშირის კანონების მოთხოვნების შესრულება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.

3. სამი დღის ვადაში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიიდან გაყვანილ იქნეს შეიარაღებული ფორმირებანი, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების გარდა.

4. რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ ხუთი დღის ვადაში აცნობოს სსრ კავშირის პრეზიდენტს რესპუბლიკაში ვითარების ნორმალიზაციისათვის განხორციელებული ღონისძიებანი.

5. ეს ბრძანებულება სამოქმედოდ იქნეს შემოღებული ხელმოწერის მომენტიდან.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტი  
გ. გორბაჩოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1991 წლის 7 იანვარი.



## საზეიმოდ აღინიშნა შობის დღესასწაული


7 იანვარს ქართველმა ერმა იხილა ქრისტიანთათვის ბრწყინვალე დღესასწაული — ქრისტეშობა. წლებიანდელი შობა სრულიად საქართველოში იხილება თავისუფლად, გულწაფლად, სანთელი აუხთო მაცხოვრის ჩვენსა და ილოცა ქვეყნად მშვიდობის, სიკეთის, სანთლებისათვის.

სიონის საკათედრო ტაძარში შობაო წირვა-ლოცვა აღავლინა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ. მისმა საშობაო ეპისტოლემ მზურვალე გამოხმაურება პაპისა ყველა კათოლიკისადმი მიმართა. ჩვენს დღესასწაულში, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ აღვლენა წირვა-ლოცვის ხაზის საკათედრო ტაძარში.

დაე, წლებიანდელი ქრისტიანობის მადლმა გაუნათოს გზა თავისუფლებისათვის მიმავალ საქართველოს, მისცეს მას ძალა და რწმენა ნათელი მიზნის მისაღწევად.

საბრძანა: უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე აღვლენა წირვა-ლოცვის ხაზის საკათედრო ტაძარში.

გონდო დადგინებას ფოტო.



# პრონია, ინფორმაცია

**როგორც** ცნობილია, მას შემდეგ, რაც ოსმა სეპარატისტებმა და ექსტრემისტულმა ჯგუფებმა საგანგებო მდგომარეობის რეჟიმში ვითარების დესტაბილიზაცია სცადეს, რამდენჯერმე დაიბნენ თავს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოების თანამშრომლებს, ფიზიკური შეურაცხყოფა მიყენეს და სატაბლო იარაღი წაართვეს, 6 იანვარს ქალაქ ცხინვალში შეყვანილია ქართული მილიციის დამატებითი ძალები — 3000 კაცი.

დაიკრა შინაგან საქმეთა ორ-

განობის შვიდი მუშაი, აქედან ორი კრილობების შედეგად გარდაიცვალა.

დაზუსტებული ცნობებით, არიან დაჭრილები მოქალაქეთა შორისაც. დაიღუპა ორი კაცი.

## საპარტიკო რეპრეზენტაციის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი

სსრკ სამხედრო უწყებამ დაიწყო, როგორც მას სახელგანთქკული უწოდეს, ნაღობების წვევამდებლბე—სპაერო დესანტის, კბილბამდე შეიარაღებული და გაწრთვნილი ძალის გამოყენებით „წითელი არმიის“ შეცება. დღემდე სამხედროები იარაღს აუთარუნებდნენ, ახლა კი, როგორც ჩანს, მის საქმეში გამოყენებასაც შეუდგნენ. როგორც იტყვიან, ამას არავითარი კომენტარი არ სჭირდება. იმპერია ისევ მოიღუპა და თავისი მოცინა-

რი ნიღბი შორს გადაადგო. აღარ დასკრბდება ის?

გზახოთ, ამას მომავალი გვიჩვენებს.

— გუშინ თბილისში მთავრობის სასახლესთან გამართა ხალხმრავალი მიტინგი, რომლის მონაწილეებმაც პროტესტი გამოუცხადეს სსრკ პრეზიდენტს.

ხალხმრავალი მიტინგი გამართა გორშიც. აქ ოსი ეროვნების წარმომადგენელთა ერთმა ჯგუფმა დაიწყო სასიკვდილო შიმშილობა პრეზიდენტის ბრძანებულების საპროტესტოდ. მიტინგის მონაწილეებმა მიმართვა გაუგზავნეს მ. გორბაჩოვს ბრძანებულების გაუქმების მოთხოვნით.

## პროგნოზი

# რუ პრის გლახური მუხრნაოგუბი?

საბაზო ეკონომიკის პროგრამის რეალიზაციასთან პირდაპირ კავშირშია ეგრეთწოდებული გლახური მეურნეობების შექმნის საკითხი. იბდებდა კითხვა, რა არის გლახური მეურნეობა? გლახური მეურნეობა არის ყველა ტიპის მეურნეობა, რომლებიც გლახურ შრომანზეა დამოკიდებული, ეს იქნება მონათმფლობელის, ფეოდალის ლაიტფუნდისისტი, ფერმების მეურნეობა თუ სოციალისტური კოლმეურნეობა. ამდენად, ტერმინი „გლახური მეურნეობა“ უაღრესად ბუნდოვანი განმარტება და საკითხის არის არ გამოხატავს.

აქ ლაბარაკი უნდა იყოს არა ზოგადად გლახურ მეურნეობებზე, არამედ ერთბიაროვულ გლახურ მეურნეობებზე.

მუშახელის 60-70% პენსიონერია, მეექვსე — არის კულტურები, საიდანაც მოსავალი უნდა აიღონ დაუყოვნებლივ, რამდენიმე დღეში ერთდროულად (ვენახები და სხვა). მას სჭირდება რამდენიმე ათეული ადამიანის კოლექტიური შრომა, ვინ დასაქმოს გლახური მეურნეობის პატრონი ამ დროს?

აქ ჩვენ გამოვტკოვთ საკითხებების რიგი და უუბასუხოთ, როგორია მიწათმოქმედებაში შრომის ორგანიზაციის ისტორიული ტიპი?

პასუხი ცალსახა და ერთმნიშვნელოვანია — კოლექტიური. მოვიყვანოთ ფაქტები: მონათმფლობელის და ფეოდალის კუთვნილი მიწებზე, რომლებიც არდენიმე ასეული ჰექტარიდან რამდენიმე ათასული ჰექტარს შეადგენდა მუშობდნენ რამდენიმე ასეულიდან, რამდენიმე ათასამდე მონები და ყმა გლეხები.

როგორია თანამედროვე კაპიტალისტური ქვეყნებში (ამ ქვეყნებში კაპიტალისტურს თვითონ მათი პოლიტიკონომია ეძახის). მიწათმოქმედების შრომის ორგანიზაციის ტიპი და თვითონ რა ტიპისაა ეს მეურნეობები?

თანამედროვე კაპიტალისტური სოფლის მეურნეობის საწარმოები ორი ტიპისაა: ლატფუნდისისტი (სამხრეთ ამერიკა, ესპანეთი, პორტუგალია, იტალია, ინგლისი, საბერძნეთი, აგრეთვე თურქეთი, კვიპროსი, მთელი აზია და აფრიკა) ფერმერული (აშშ, კანადა, გერმანია და დასავლეთ ევროპის ქვეყნები ძირითადად).

ლატფუნდისისტი მეურნეობებში შრომის ორგანიზაციის ფორმა კოლექტიურია, სეზონურის ჩათვლით, სდაც ასეულობით და ათასობით ჰექტარზე მუშობდნენ სოფლის მეურნეობის ასობით დაქირავებული მუშები (ბატრაკები).

დღევანდელი ფერმერული მეურნეობები მოცულობის მიხედვით სამი ტიპისაა, პირველი მცირე ზომის — 100-150 აკრი, მეორე საშუალო — 150-დან 1000 აკრამდე, მსხვილი — 1000 აკრს ზევით. ბოლოს მთელი დასავლური ფართობის სტრუქტურა ასეთია: 30-55% მძლის მსხვილ ფერმებზე, 50-55% საშუალოზე, დანარჩენი უჭირავს შესაბამისად მცირე ზომის მეურნეობებს. შრომის ორგანიზაციის ფორმა წარმოადგენს კოლექტიურს, სეზონური და მუდმივი დაქირავებული შრომის გამოყენებით.

მცირე ზომის მეურნეობებში შრომის ორგანიზაციის ფორმაც კოლექტიურია, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ დაქირავებულ მუდმივ და სეზონურ მუშებთან (ბატრაკებთან) ერთად, წარმოების პროცესში მონაწილეობას იღებენ ფერმერის ოჯახის შრომის უნარიანი წევრებიც. კაპიტალიზმის პირობებში მიწათმოქმედების ყველა ტიპის მეურნეობას აქვს ერთი საერთო, ისინი უაღრესად რაციონალურია და არ ასაქმებენ ზედმეტ მუშახელს. კაპიტალიზმის პირობებში მიწათმოქმედების მქვანიზაციური მომსახურება ბორციელდება აგროტექნიკური ფორმების მომსახურების საფუძველზე, მსგავსად ჩვენში წი-

ნათ არსებული მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა...

გლახურ მეურნეობების შექმნასთან საკომპლენუნო მიწების ხარჯზე დაკავშირებულია პრინციპული სამართლებრივი საკითხი; კერძოდ, კოლმეურნეობები ჩამოყალიბდნენ მისი წევრების საბაით შენატანების ხარჯზე. იგი კოპერაციული საწარმოა და დაფუძნებულია მის წევრთა განსაზოგადოებულ საკუთრებაზე, სადაც განკარგვის უფლება ეკუთვნის საერთო კვებას. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს, რომ კოლმეურნეობების დაშლის შემთხვევაში მათ წევრებს უნდა დაუბრუნდეთ მათ მიერ განსაზოგადოებული მიწები, ზოლო იმათ, ვისაც არ შეუტანია არაფერი, რჩებთ თავისუფალი გასვლის უფლება, შემდეგ თავისი ისტორიის მანძილზე ხდებოდა საკომპლენური მიწების საკომლო გამოყოფა.

ეს ზღბობდა იმ პირველ შეტანილი მიწების ანგარიშზე, ამ ყველაფრიდან შეგვიძლია დაეასკვნათ, რომ კოლმეურნეობების დაშლის შემთხვევაში იურიდიულად დგება საკითხი ყიფილ მეპაიეთა მფლობელობის აღდგენის შესახებ. აქ კი ამჟამად არსებულ საკომპლენური მიწებს უნდა დაუშვანოთ ის მიწებიც, რომლებიც მოექცნენ სამკოთა მეურნეობების მფლობელობაში, მაშინ, როდესაც კოლმეურნეობების ნაწილი გადააქციეს სამკოთა მეურნეობებდ ხრუშოვისეული პარტიის პროგრამაში ჩაქვრიოდა განცხადების მიხედვით — „ამჟამად საკომპლენური-კოპერაციული საკუთრება სახელმწიფო საკუთრების დონეზე“.

რაც შეეხება გლახური მეურნეობების შექმნის იდეას, საკითხის ისტორია ასეთია, ორ წელზე მეტია საქართველოს მინისტრთა საბჭო ამუშავებდა საკითხს გლახური მეურნეობების შექმნის შესახებ საკავშირო მთავრობის მითითებით. ამდენად ეს საკითხი, რომელსაც ასე უწოდებენ იმეორებენ ცალკეული პირები, ან პირთა ჯგუფები, ისე, თითქმის მათი იდეა იყოს, საზოგადოებრივი თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ როგორც პრობანდისტული გამოსვლები და არა ეკონომიკურად დასაბუთებული პრაქტიკული საკითხის გადაწყვეტის ცდა. მით უმეტეს, რომ იდეა გლახური მეურნეობების შესახებ მკუთვნის არა დღევანდელი მთავრობის რომელიმე დაწესებულებას, არა რომელიმე ხელმძღვანელს, არამედ ნ. ბუზარინს, რომელსაც იგი აყენებდა 1926-27 წლებში და შემდეგში თვითონვე უარყო... ისე კი ყველაფერი დამოკიდებულია ადგილზე, დროზე და პირობებზე.

დამბოლოს კოლქტივების ქონება იმ პირთა საკუთრებაა ვის ხარჯზე შეიქმნა ისინი და ვინც ამჟამად მფლობელებს მას. არავის არა აქვს უფლება განკარგოს ეს მათ ცნონიერ მფლობელთა გარდა.

ერთია რჩევის მიცემა, მეორეა მისი თავს მოხვევა, ანუ იდეოლოგიზირებული ეკონომიკური სქემის ძალით დანერგვა ეკონომიკური თავისუფლების პრინციპებიდან გა-

(დასასრული მე-7 გვ.)

# ჩვენ პასუხი

ის, რაც მოხდა, 200 წელია ნდება საქართველოში. განა არ ვიცით, „ერთმორწმუნე, მართლმადიდებელი“ რუსეთმა ქართული ეკლესია-მონასტრები თავლებად რომ გადააქეთა? კედლები თეთრად შეთიხნა, რომ უძველესი ფრესკები დაეფარა? განა ქუთაისის გუმბერატირმა ქრისტიანმა ლეონიძემ არ ამოტეხა ხახულის ღვთისმშობლის უნიკალური ტიხრული მინაქარი? დამბოლოს, განა უშეზღუდლსა სინოდმა არ გააუქმნა საქართველოს ავტოკეფალია? აი, მათი ქრისტიანობა, „მათი საქმენი საგმირონი“. ამიტომ სრულიად გულგრილად აღვიქვით ის ფაქტი, რომ სწორედ შობა დღეს გვაძენს პრეზიდენტის მიმართვა, რომლითაც უნეშად შეურაცხყოფენ და ერევან ჩვენს საშინაო საქმეებში.

ჩვენი პასუხი ასეთია: არ დავე-

მორჩილებით მათს თბვილს, ჩვენ ჩვენი გზა გვაქვს, ჩვენი მიზანი და სასოება: ეს საქართველოს თავისუფლება, დამოუკიდებლობა, ერთიანი საქართველოს განმტკიცება თავის ისტორიულ ტერიტორიაზე. არ ვცნობთ არავის, ვინც არ ცნობს საქართველოს, „ბბილი კბილისა წილ, თვალი თვალისა წილ“. მონობაში სიცოცხლეს სიკვდილი სჯობს. თუ საჭირო იქნება, თუ მდგომარეობა მოითხოვს, ჩვენც შეგძლებთ შევეწირთ სამშობლოს თუნდაც შევიდეთ თმბობა და სუსტი ძალ-ღონით, მაგრამ ანთებულ სულთა და ჩვენი მიწის სიყვარულით აღსავსე გულით.

სიმაართლე ჩვენსკებაა.

**მადეა ალავეკი,**  
**ნუნუ ლეშავა,**  
**მადეა ოპარაშიძე,**  
**პენსიონერები**

# კოპედია დამთავრებულია!

დღეს ბევრი ლაბარაკია მოსალოდნელ გადატრიალებაზე საბჭოეთში, დიქტატურის საშიშროებაზე. მაგრამ, ფაქტობრივად, გადატრიალება უკვე მოხდა, დიქტატურა უკვე დამყარდა, რაზეც მეტყველებს რეაქციული ძალების, სამხედროების გაბატონება სსრკ კავშირის უზენაეს საბჭოს, მთავრობაში, ლიბერალური მოღვაწეების (ა. იაკოვლევის, ვ. ბაკატინის, ე. შევარდნაძის) ჩამოშორება მმართველი ელიტიდან, და რაც მთავარია, მ. გორბაჩოვის აღჭურვა განუსაზღვრელი ძალაუფლებით, მისი აშკარა გადაბარგება რეაქციულ ძალთა ბანკში, ესოდენ მოზიერებული „მუშტების ბრახუნი“, უნეში ჩარევა მოლდოვას, ბალტიის რესპუბლიკების, საქართველოს საშინაო საქმეებში.

პრეზიდენტი მისთვის ჩვეული „ლოგიკით“ ამ დადგენილებას უკანონოდ მიიჩნევს, აუქმებს და ულტიმატუმის ფორმით რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს წინადადებას აძლევს „სამ დღეში გამოიყვანოს ოლქის ტერიტორიიდან ყველა შეიარაღებული ფორმირება, გარდა სსრკ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალებისა“, რითაც რუსის ჯარს აკისრებს აქ „წესრიგისა და სიმშვიდის“ დაცვას; ხოლო თუ როგორ ასრულებს ხოლმე ამგვარ მისიას ეს ჯარი (თბილისში, ბაქოსა თუ ბალტიის რესპუბლიკებში), ყველას კარგად მოგვესცენება.

ამ ბრძანებულებით (ჩვენთვის მანიც ყველაფერი თავის ადგილზე დავდა, კიდევ ერთხელ, აშკარად, შეუხილბავად გამოჩნდა თუ ვისთან გვაქვს საქმე, თუ რა ფასი აქვს პერსონალიკაზე, დემოკრატიაზე, ანუ „ახლებური პოლიტიკური აზროვნების“ შეუქცევად ხსიათზე ლაბარაკს...

ამგვარი დიქტატის, უნეში ჩარევის „შესანიშნავ“ მაგალითს წარმოადგენს პრეზიდენტის 7 იანვრის „საშობაო საჩუქარი“ — ბრძანებულება, რომელთაც ეხება საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების საკითხი.

როგორც იტყვიან, კომედი და დამთავრებულია!..

**ფალიხ კოძიაშვილი**

# ...ჩვენს ნურბინ უბგვაცოილება

ალბათ, ერთი და ორი შობა როდი ჩაუშვარებიათ ქართველი კაცისთვის, მაგრამ რუსის მუქივით რაც ამ შობის დამესამსალა მოგვიმზადა, კარგა ხანს გვემზასოვრება. თუმცა ამ უდმართოსაგან, ჩვენი ბედ-უკუღმართობის გამო, ჩვენსავე ბედის გამგებლობას რომ ჩემობს, სხვას არც უნდა ველოდეთ.

ყოფილსა და სხვის საბატონოდ გამბდარს ოდიოვან საკუთარი პარტიის და ჭირისუფალი ჰყავდა და ჰყავს?

თურმე, ნუ იტყვიან და ჩვენს მიწაზე, ჩვენს სახლ-კარში ერთ დროს სამადლოდ შემოკედლებულ, დღეს კი ბატონკაცად ქცეულ და თავხედობის ყველა ზღვარს გადასულ ოს „მშას“ რომ საკუთარი ადგილი მიუღწინეთ, ამის ნება არა გვექონია და ხალხის ნების გამომხატველი პარლამენტის მიერ გაუქმებული სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიც ძველებურად არსებულსა, ის კი არაა, არც საქართველოს რესპუბლიკა საქმე-ვით ჩვენს ქვეყანას, მერე რა, რომ მთელმა ქართველობამ ასე ისურვა — რუს ბატონს ხომ არ მოუციო ამის ნება და დასტური? ამიტომაც ყველა ოფიციალურ დოკუმენტში და ამ ბოლო ბრძანებულებაშიც ისევ „Грузинская ССР“-დ მოგვიხსენიებს. და კიდევ... თუმცა რომელი ერთილა ჩამოვთვალთ... 7 იანვარს პროგრამა „ვერშიაში“ გამომცემული სსრკ პრეზიდენტის ბრძანებულება (თავიდან ბოლომდე) სხვა არა იყო, თუ არ ნობების პრემიის ახლად გამოცხვარი ლაუკიანის (რატომ ლმერთი არ გაიციებნს!) მცირე ერებზე „ზრუნვით“ გამსჭვალული კიდევ ერთი „პუშანური“ აქტი — ოლონდ ამ მცირედი“ არაფერი გაუქირდეთ და ძირძველი რესპუბლიკებიდან ქვე ქვანზე ნუ დარჩენილა... მოკლედ, კვლავაც დავყოფ და ვიბატონებო... მერე რა, რომ ამ და-

მნილია უსამშობლო ადამიანებთან საშობლოს სიყვარულზე ლაბარაკი, ამ ლაბარაკით ვერც იმასთან გააწყობ რამეს, ვისაც სხვისი სამშობლო, სხვისი მიწა უკვე იმდენად გაუხდია საკუთარი საბრძანებლოდ, რომ იქ არც მეტე, არც ნაწილი რიყის ქვამაც კი, თურმე, მხოლოდ მისი ნებით უნდა იცვალოს გვერდი... და თუ მაინც გაბედა და იცვალა... აკი დაგვეშუქრა რუსი: სამი დღის განმავლობაში, ყველაფერი თავის ადგილზე დაბარბოვდა! გესმის, ქართველებო, ის, რაც ამდენი სისხლით, ცრემლით და ტკივილით (მარტო 9 აპრილი ქართველთა რამდენ თობას ეყოფა) მოვიპოვეთ, ერთი დავკვირთ, თანაც საკუთარი ხელით განადგურეთ. განადგურეთ თუკან დავიხიოთ, აქაოდა დათვი გვერევა, ბაბა დავუძახოთ? მაგრამ როდემდე, მაგრამ სადამდე?

სიფიცისა და უკანმოუხედავად ცეცხლში გადავარდნის ასაც კარგა ხანია, გადავბაძე, მაგრამ როცა სამშობლოს, საკუთარი მიწის წყლის შვილებისა და შვილთაშვილების ძლივს ჩასახული სიხარულისა და ბედნიერების ხელყოფას გვიპირებენ, მეც იმ ქართველების გვერდით ვდგავარ, ვინც მართლაც უკანმოუხედავად გადავყვება ცეცხლში, ვისაც გულის ფიკარზე აწერია: „სამშობლოს არვის წავართმევ, ჩვენც ნურვინ შეგვეცილება, თორემ ისეთ დღეს დავაყრი, მკვდარსაც კი გაეცინება!“

**შალვა გომრავაშვილი,**  
**მწიგნულო.**



# საშობაო სარუხარი კრედიტან

7 იანვარს რუსეთის ახალმა მწყემსმთავარმა ალექსიმ თავის საშობაო ქადაგებაში საყოველთაო მიმტველებლობისაკენ, ურთიერთსიყვარულისაკენ და მრისხანების დაოკებისაკენ მოუწოდა თავის მრევლს, რაც თავისთავად სასიხარულოა, მაგრამ როგორც ასეთ შემთხვევაში იტყვიან, „რადღაც იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია“ აქი სწორედ იმავე მღვდელმთავარმა, სულ რაღაც ორიოდე კვირის წინ კონსტანტინოპოლის პატრიარქის მრისხანე წარმომადგენლებთან ერთად ხელი მოაწერა პრეზიდენტ გორბაჩოვისადმი გაგზავნილ წერილს, რომელშიც ძირითადი იმპერიის გადასარჩენად „წესრიგის დამყარებას“ და ფოლადის მუშტის გამოყენებას სთხოვდა. პოდა, შეისმინა პრეზიდენტმა სულიერი მამის შეგონება, ადგა და „ურჩი“ ბალტიელების წინააღმდეგ სადესანტო დივიზიების გადასროლა ბრძანა, „ურჩი“ საქართველოს კი, როგორც „ერთ-მორწმუნე მეზობელს“ 72 საათის ვადა მისცა „გონზე მოსასვლელად“! და ეს გააკეთა არა 6 ან 8 იანვარს, არამედ, სწორედ ქრისტეშობის დღეს, ვითარცა საშობაო საჩუქარი!

პრეზიდენტი თავის მრისხანე ბრძანებულებაში დაიწყო გვიწოდებს „საქართველოს სსრ“-ს და ჩვენს გასამტყუნებლად მოკვას სსრ კავშირის კონსტიტუციის სხვადასხვა მუხლები, თითქოს ჩვენს რესპუბლიკას არც კი ჰქონდეს თავისი კონსტიტუცია და კანონები.

ერთი სიტყვით, პრეზიდენტი ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე, სამხედროების გულის მოსაგებად, იარაღს გვიყარუნებს, ჩვენს საშინაო საქმეებში შეუნიღბავად ერევა და ქართველი ხალხის აზრს უწყვეტად უსიღბლოდ ალარე უწევს ანგარიშს. ნიშანდობლივია ისიც, რომ ამ რეალურ მუქარას ის გვითვისის სწორედ მაშინ, როცა მთელი მსოფლიოს ყურადღება სპარსეთის ყურისაკენაა მიქცეული!

ეს, როგორც იტყვიან, ფაქტის კონსტატაციაა. ახლა იმის შესახებ, თუ რით უნდა ვუბასუხოთ ჩვენ ამ „საშობაო ეპისტოლეს“.

პირველ რიგში, ვითვალისწინებ რა საზოგადოების უდიდეს აღწევთებას პრეზიდენტის სამდღიანი ულტრაბრტუმის გამო, ვფიქრობ პანიკამ არ უნდა მოგვიცვას და ჩვე-

ნი ხალხისათვის დამახასიათებელი გონიერებით დაუპირისპირდეთ ამ მუქარას.

ჩვენი ბედკრული ისტორია გვასწავლის, რომ ყოველთვის, როცა ქვეყანას შინაშლილობის სენი შეეპარებოდა, უმაღლეს სახლვარზე გამოჩენილი მგელი გვეკრთიანებდა. დღეს კი, მოგვსენებათ, არნახული განსაცდელის წინაშე ვდგავართ და არა ერთი და ორი, არამედ მგლების მთელი ხროვა გვიასლოვდება ყოველი მხრიდან! მაშ დღეს თუ არა, რადის უნდა ვიქცეთ ჩვენ ერთარსად, ერთმუტად, ერთ სამშოდ!

ნუთუ კიდევ არ დადგა დრო მივაფურთხოთ ეშმაკს, ავბაღლდეთ ყოველგვარ პიროვნულ და უწყაემოდ დაედგეთ სრულად საქართველოს მიერ არჩეული კანონიერი მთავრობის გვერდით? ამაზე დიდ განსაცდელში ხომ ჩვენ ვერ არ ვყოფილვართ!

ჩვენი თავისუფლება და გამარჯვება მხოლოდ და მხოლოდ ჩვენს ერთობაშია.

**ამირან კალაძე,**  
მწერალი, უზენაესი ხაბუოს დეპუტატი

# სამთა კავშირი

საკვირველია ასეთი რამ: კრის თავისი მიწა-წყალი, თავისი მამული ქვეყნის დემოკრატის ნაბოძები, თავისი ტაძარი ედგას, იქ ყოფნისა და ლოცვა-კურთხევის ნება ჰქონდეს, მოდიოდეს მერე ერი, ადამის მოდგმად წოდებული ვადამთიელი და პატრონის თავის მწყაწყალზე და საკუთარ ხალხში არ აჩერებდეს...

ყინულოვანი ბნელეთიდან გამოსული ავადმყოფი გველმეზბი ლომბს ირგვლივ ყოველგვარი კოცობრილი სიკეთის გასრქას, ანთხვებს გესლს და ყველაფერა თავის ბეჭედს და მონობის დამბას ასვამს. ამ ურჩხულს, აპოკალიფსის მიხედვით, დიდი კატასტროფა ელის, აქვს თავისი დასასრული, როგორც ყოველივე ეშმაკულს ამ სამყაროში...

ქარაგმებით საუბარი ახლა იქნებ არც იყოს სასურველი და პირდაპირ ვიტყვი: რუსეთის იმპერამ ქართველი ერი საკუთარ სახლში მდგმურის მდგომარეობაში ჩააყენა, უბეში ჩაუსხა „შხამიანი გვე-

ლის წიწილები“ — და ცხოვრება გაუმწარა...

ამ დღეებში მდგომარეობამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია და როგორც მოციქული ბრძანებს: დადგა ეამი სამოსელის გაყიდვისა („კუჩიდეო სამოსელი და იყიდეთ მანკილები“).

გველმეზბის მუცლიდან ჩვენი გამოსული ეამი დადგა — თორემ შემოგვიტრა და ეტყობა ჩვენს გასრქასა ლამობს...

ვერ გამოვალთ ვეშამის მუცლიდან ცალ-ცალკე ბრძოლით და ცალკეული ვერც რომელი ბელოა, გამოვალთ მხოლოდ ჩვენი მთლიანი მითოსური ენერჯით — სულიერ, ფორციულ და ზეციერ ძალთა შეერთებით. ჩვენი დიდებული სალოცაეების (მოლაშქრე ღვთაებების) თანადგობით...

გამოვალთ ვეშამის მუცლიდან რუსთველისეული (ეფფისტიკაოსნისეული) „სამთა კავშირით“, მხოლოდ ასეთი მისტიური ერთიანობით დაიძლევა „ქაჭეთის ციხე“, რომელიც ყოველთვის იყო, არის, და ალბათ იქნება ჩვენი ცხოვრების ისტორიულ გზებზე...

ვერ გამოვალთ სატანის ხელიდან არ თუ სამხელისუფლებიანობის პირობებში — წრაფად, წრაფად უნდა დამიხვევს ეს ბაიოლო, უნდა გაუქმდეს სამი პოლუსის კონტრეისი, უზენაესის, მდებრიონის, წინააღმდეგობა, რომელიც აქვთ იქით მიკაქებს ჩვენს სამშობლოს და ერთ „პელიოცენტრულ“ ქართული მხის უძლეველ ენერჯად იქცეს...

თუ ახლა იქნება ომი, ეს ომი იქნება ყველაზე დიდი ომი ქართულ მიწაზე — ამ ომში უნდა წავიდეთ ისე, როგორც ვაჟა-ფშაველას მემორები (გმირები) მიდიოდნენ ბატონობაზე — ეს ის წამია (ის მღვთავრობა), როცა მიცვალებულები დედაბინ საფლავებიდან და კოცხლებთან ერთად მიდიან, მწვერულებიდან კი თეთრი გიორგის ლეკვერთხები (ან ლამპრები) უნათებენ!

... ამის შემდეგ დგება ეამი, როცა თავისუფლების მოვარე ამოდის.

**„ხუთშაბათ დილა გათენდა — სისხლისა ნიადვარაა, ბახტიონის თათრის შვილებსა დღე გაუთენდათ მწარეა, გადმოდა ბორბალიწედა თავისუფლების მოვარეა!“**

**კობა არაბული,**  
მწერალი.

# დაგუპირისპირდეთ ერთიანობით

მხსოვს, 9 აპრილის ტრაგედიის წინა დღეებში, როცა სიტუაცია უფარესად დაიბადა, მიტინგებზე თავშეყრისას ბევრნი, უფრო მეტად უფროსი თაობის ადამიანები, საშინელი ამბების მოლოდინით შეიჭრნენ ბულებში, წამდაუწუმ იმერობდნენ: სიფრთხილად და თავკეკავება საჭირო, მაგათვან ყველაფერია მოსალოდნელი, ახალგაზრდები ან უფროსი უგუნდები ამ გაფრთხილებას, ან თავისთვის ქირქილებდნენ, ეგ ოცდამეცხრეტწელამოვლილი, დაშინებული, დამთხალი თაობა და ყველაფერსა ეშინიათ. ნათქვამია, ფაფაზე პირამიწვარი ღოს უბერავდა. ესლა სხვა დროა, დემოკრატიის გზას ადგას მთელი ქვეყანა და ძალადობას როგორ მიმართავს მთავრობაო, როგორი დემოკრატიული გზაც ქვეყნის არჩეული ჩვენი უკუდგანო სამშობლოს“ მთავრობასა და ხელისუფლებას, ამის დამტკიცება ჩვენ საკუთარი სისხლის ფასად დაგვიკვდა. „მაგათვან“ ანუ მოდერ-

ნიზებული კომუნისტური იმპერიის მესვეურებისა და დამკავებისაგან ყველაზე უფრო საშიშველ ძალადობას, მე ვიტყვი, საღიზამდე მისულ ბოროტმოქმედებს რომ უნდა ველოდეთ, ამაში დავრწმუნდით ამ დღეებში. სასაცილო იქნებოდა, სატირალი რომ არ იყოს, რომ ამ ძალადობის, ცინიზმადე მისული უკანონობის დამამკვიდრებელი ის კაცი, რომელსაც სულ ახლახან ნობელის პრემია მიენიჭა მშვიდობის დარგში, როცა ამაზე ვფიქრობ, ეშმაკებმ დგება დემოკრატიზმისა და ჰუმანიზმის ის პრიციპები, რომლის ერთგულ დამკველად და ქომადგამ მოდის დასავლეთი სამყარო. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების განთავისუფლება კომუნისტური ულისისავან მართლაც საუკუნის მოვლენაა, მაგრამ ეს რომ მიხეილ გორბაჩოვის საკუთარი სურვილითა და ამ ქვეყნების ზალთა სიყვარულით არ გუუქვებია, ესეც ზომ აშკარაა. ისტორიულმა აუცილებლობამ აიძუ-

ლა იგი, ამგვარი ნაბიჯი გადაეღა, ამის დასტურია ის მოვლენები, რაც სომხეთსა და აზერბაიჯანში, ბალტიის ქვეყნებსა თუ საქართველოში ხდება. კაცი, რომელიც „თავის ხალხს“ საკუთარ მიწა-წყალს არ გვანებებს, უცხოეთის როგორ გაიჩრებოდა გულწრფელად და უანგაროდ. მიხეილ გორბაჩოვის ავანტიურისტულ, დანაშაულებრივ „საშინაო“ პოლიტიკას უკვე ნილაზი ჩამოეხსნა, თუქა რა „საშინაოა“ ლაპარაკი, გორბაჩოვი თავისი კომუნისტური იმპერიით, ისეთივე უცხოა ჩვენთვის, როგორც გერმანელები, ჩეხებიანა თუ უზბეკელები, ჩვენ ისრა დაგვჩენია, ამ საშეკაროზე გამოსულ დესპოტს დაუპირისპირეთ გონიერება, სიფრთხილად, შორსმჭკრეტელობა და, რაც მთავარია, ერთიანობა. ქართველებს სირცხვილად ერთი ბაზალეთიც გვეყოფა.

**გიორგი ჯაახაიშვილი,**  
პედაგოგი.



# ხანკარი ტექნიკური უნივერსიტეტი

6 იანვარს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეექვსე კორპუსის მეტრე საბინო უბანზე გაჩნდა ხანკარი, რომელიც უმაღლესი მეტრე საბინო უბანზე, იწოდება „ბინეტეტი, ლაბორატორიები, ფიფე, მუხანდრეებმა თითქმის სამი საათი მოანდომეს ხანკარის ჩაქრობას.

**სურამია: ხანკარი ტექნიკური უნივერსიტეტში.**

**გონდო დვალისვილის ფოტო**

# საქველმოქმედო კონცერტი

საქართველოს სახალხო ფრონტთან არსებული ახალგაზრდული საქველმოქმედო საზოგადოება — „სამშობლოს“ კავშირული სიმებიანი ორკესტრი შეიქმნა 1990 წლის იანვარში, რათა ჩაეტარებინა საქველმოქმედო კონცერტები და აქტიური მიუზიკა ჩვენს სამშობლოს და ერთ „პელიოცენტრულ“ ქართული მხის უძლეველ ენერჯად იქცეს...

თუ ახლა იქნება ომი, ეს ომი იქნება ყველაზე დიდი ომი ქართულ მიწაზე — ამ ომში უნდა წავიდეთ ისე, როგორც ვაჟა-ფშაველას მემორები (გმირები) მიდიოდნენ ბატონობაზე — ეს ის წამია (ის მღვთავრობა), როცა მიცვალებულები დედაბინ საფლავებიდან და კოცხლებთან ერთად მიდიან, მწვერულებიდან კი თეთრი გიორგის ლეკვერთხები (ან ლამპრები) უნათებენ!

... ამის შემდეგ დგება ეამი, როცა თავისუფლების მოვარე ამოდის.

**„ხუთშაბათ დილა გათენდა — სისხლისა ნიადვარაა, ბახტიონის თათრის შვილებსა დღე გაუთენდათ მწარეა, გადმოდა ბორბალიწედა თავისუფლების მოვარეა!“**

**კობა არაბული,**  
მწერალი.

# 6 თვე ნახისყოფის დაკაბუნა და...

თქვენ უკვე შეგიძლიათ იმოქმედოთ სავარგო ბაზარზე, წარმართოთ იმპორტ-ექსპორტის ოპერაციები, აწარმოთ მოლაპარაკება საზღვარგარეთელ პარტნიორთან...

თქვენ თავისუფლად მუშაობთ კომპიუტერთან, თამამად ლაპარაკობთ უცხო ენაზე. ხართ კომპეტენტური, ენერჯული, მიზანსწრაფული ბიზნესმენი...

**მოკლედ**  
თქვენ ხართ მენეჯერი ხაგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სფეროში.

თქვენი ნებისყოფა და თბილისის მენეჯერთა სკოლის მსწავლეებელთა პროფესიონალიზმი საბაზრო ეკონომიკის, მენეჯმენტის, საერთაშორისო მარკეტინგის, ფინანსების, სამართლის, ხელმძღვანელების ზელოვნების, ინფორმაციკის, უცხო ენების სფეროში, აგრეთვე სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და ტექნიკურ საშუალებათა ფართო გამოყენება გახაზირობებს თქვენს წარმატებას ინტერბიზნესში.

მსმენელთა ჩარიცხვა მოხდება უცხო ენასა და ზოგად განათლებაში ტესტირების და მიღება კომისიისთან გასაუბრების შედეგების საფუძველზე.

აუცილებელი პირობაა გქონდეთ უმაღლესი განათლება. სწავლება ქართულ ენაზეა, წარმოებისგან მოწყვეტილი. სასწავლებლოდ მიიღებიან პირები 40 წლის ასაკამდე არა ხაკლებ 3 წლის მუშაობის სტაჟით. სავიარაგოების შემთხვევაში მსმენელი უზრუნველყოფილი იქნება საერთო საცხოვრებლოთ.

წარმატებით კურსდამთავრებულნი მიიღებენ მეორე უმაღლესი განათლების დიპლომს და საზღვარგარეთის რომელიმე ქვეყანაში სტაჟირების შესაძლებლობას.

სწავლის ღირებულება 4500 მანეთი (გადახდა პირადად ან დინტერესებული ორგანიზაციის საშუალებით) სწავლის ღირებულებაში არ შედის სტაჟირების საფასური.

საბუთების (ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, დიპლომის ასლი, საგანგებო წერილი — მომართვა ორგანიზაციიდან, 3 ფოტოსურათი) მიღება იწარმოებს 20 იანვრამდე. გასაუბრება და ტესტირება გაამართება 2-დან 27 იანვრამდე, სწავლა თებერვალში დაიწყება.

შეგიძლიათ დარეკოთ: 39-68-64; 39-44-57; 39-44-58.

თბილისის მენეჯერთა სკოლა, ვაჟა-ფშაველას

სადა არისა



ბალტიის რესპუბლიკების აზვები

ნაირი სსრ კავშირის პრეზიდენტს

3 იანვარს ლატვიის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დანიის ივანსმა ოფიციალური წერილი გაუგზავნა სსრ კავშირის პრეზიდენტს, სსკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს მიხეილ გორბაჩოვს, რომელშიც მას აცნობებს პრესის სახლის ირგვლივ შექმნილ სიტუაციას.

ნებულ აქციებთან დაკავშირებით, რომლებმაც ლატვიელი ხალხის აღმფრთხილება გამოიწვიეს, ლატვიის უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება „პრესის სახლში სსრ კავშირის შინაგანი ქარების შეიარაღებული შეჭრის შესახებ“. ამ დადგენილების ტექსტი გაეგზავნა სსრ კავშირის პრეზიდენტს. რესპუბლიკის პარლამენტი და მთავრობა, რომლებიც პროტესტს აცხადებენ ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური რეკლამის ძალადური ცდების წინააღმდეგ, წერს დ. ივანსს, კიდევ ერთხელ გამოთქვამენ მზადყოფნას დაიწყონ მოლაპარაკება სსრ კავშირის პრეზიდენტთან და საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობასთან სსრ კავშირისა და ლატვიის რესპუბლიკის ურთიერთობის, აგრეთვე ლატვიის რეპრეზენტაციის სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სტატუსის შესახებ.

ბალტიის საბჭოს რიგგარეშე სხდომა

5 იანვარს გაიმართა ბალტიის საბჭოს რიგგარეშე სხდომა, რომელზეც ლატვიის, ესტონეთის სახალხო ფრონტებისა და ლიტვის „საუღისის“ წარმომადგენლებმა მიიღეს ერთობლივი განცხადება. აფეთქებები ბალტიის სახელმწიფოებში, ნათქვამია განცხადებაში, ლატვიის სსკპ ფილიალის ბიუროს გადაწყვეტილებით სსრ კავშირის შინაგანი საქმეთა ძალების მიერ როგონ პრესის სახლის, აგრეთვე ლიტვის დემოკრატიული მუშათა პარტიის (ყოფილი კომუნისტური პარტის) ცენტრალური კომიტეტის შენობის ხელში ჩაგდება ველნიუსში მოწმობს, რომ კრემლი ხორცს ასხამს უზენაესი საბჭოს ბინისა და კანონიერი მთავრობების დამხობის კონკრეტულ სცენარს დემოკრატიული პროცესების შეწყვეტის აშკარა მიზნით.

ვანცხადება მსოფლიო საზოგადოებრიობას მოუწოდებს ყურადღება მიაპყროს ბალტიის სახელმწიფოთა ძალადუფლების უპატივსი ორგანიზაციის დამხობისა და მოსკოვში მართონებების მიერ მათი შეცვლის ცდას, რომელიც 1940 წლის სექტემბერში მოხდა, აგრეთვე იმ ავბედით როლს, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ შეასრულა მაშინ და კვლავაც ასრულებს დღემდე.

ლიტვაში პარლამენტის შენობის წინ მოეწყო ფასების მომატების საწინააღმდეგო მიტინგი. პარლამენტი იძულებული იყო შეეჩერებინა დადგენილება ფასების მომატებასთან დაკავშირებით. პარლამენტის ამ გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა მთავრობა და პროტესტის ნიშნად გადადგა მისი მეთაური, პრემიერ-მინისტრი კაზიმირა პრუნსკე.

პარტიაში სამართლიანად ვამაობთ, რომ ჩვენი ერისათვის ყველთვის უცხო იყო შოვინიზმი, ქნეოფობია, საერთოდ ყველგვარი გამოვლინება სხვა ერისადმი ბრმა სიძულვილისა. ჩვენი წინაპრები უცხო თვსისა და რჯულის ადამიანს არა მხოლოდ საქმით, არამედ სიტყვითაც არ ვნებდნენ, რადგან კარგად იცოდნენ, რომ შეუძლებელია ამა თუ იმ ერის (მთელი ერის) გალანძვლა. და თუ მაინც დაუწყებდნენ ერს ლანძვას, ამით მხოლოდ საკუთარ თავს შეურაცხყოფდნენ...

ვლადიმერ ქლენტი (წერილი „Горбачи და სხვები“ („ახალგაზრდა ივერელი“, 5.1.91). დარწმუნებული ვარ, აღაშფოთებდა ქართველ ადამიანთა ერთ ნაწილს. მსგავსი განზოგადება ანომალური ფაქტებისა ერის შეფასებისას მიუღებელია.

ვითხოვ ავტორს, ნუთუ არაფერი სმენია დიადი რუსული კულტურის შესახებ, იმ გენოსის შესახებ, რომელიც ადამიანის საქმიანობის თითქმის ყველა სფეროს შესძინა რუსეთმა? ნუთუ ვერც დღევანდელ რუსეთში ჩედავს ვიქლენტი კეთილშობილ, ნათელ პიროვნებებს — ა. იაკოვლევს, ა. სობჩაკს, ი. აფანასიევს, ბ. ელცინს, ვ. სტანკევიჩს, ნ. ტრავკინს, ვ. ნიკოდორსკაისს... რომელიც მხარს უჭერენ „ნაცემთა“ განმთავისუფლებელ მოძრაობას. დღეს ისეთი დროა, ყველას შეუძლია რაც უნდა ის წეროს, პროფესორი იური აფანასიევი კი გაგანია „ხასტიის“ დროს აცხადებდა, რომ „უმცროსი ძმები“ „მომეც საბჭოთა რესპუბლიკები“ სინამდვილეში კოლონიები. სულ ცოტა ხნის წინ მან კატეგორიულად გაილაშქრა რუს მიგრანტთა ძირგამომთრეული საქმიანობის წინააღმდეგ მოდლოვანში, ისიც ყველამ ვიცი. რომ ერებოსათვის სრული თავისუფლების მინიჭებას მოითხოვს სარეგიონათშორისო ჯგუფი, არაერთი სხვა გვართიანება და პარტია.

ბატონი ქლენტი ალბათ იტყვას, რომ დღევანდელ რუსებს ბევრი ნაკლი სჭირთ. ეს, რა თქმა უნდა, ესეა, მაგრამ ვთხოვთ მას, დავკისახელოთ თუნდაც ერთი უნაკლია. იქნებ ქართველებს სიკვდილის ასეთ ერად? იქნებ ვერ ხედავენ, რადგან გამარწხელად იმოქმედა ჩვენს ერზე ისევე, როგორც სხვა „საბჭოთა ერებზე“ (და მათს შორის რუსებზეც) კაცობრიობის ისტორიაში გაუგონარმა შევიდა უწყობიანმა ტრიანამ, ტერორმა და დეზინფორმაციამ?

ვ. ქლენტის მიერ გამოთქმული აზრები არის არა მხოლოდ ობსკურანტი, არამედ უაღრესად საიფათოც. ესეთ აზრთა წყალობით ჩნდება ბიოლოგიური ზოზო სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენელთა შორის. დღეს რუსეთის საუკეთესო შვილები, მეტრონი დემოკრატიის გამარჯვებისათვის რუსეთში, ჩვენი ბუნებრივი მოკავშირენი და თანამებრძოლნი არიან. მათთან დაპირისპირება არამდლარამაც არ გვაძლევს ხელს. ასეთი არაფრისივლად გამოთქმული აზრები, ცხადია, ნებისმიერ, თუნდაც ყველაზე დემოკრატიულ შეურაცხყოფენ და ანტიქართულად განაწყობენ.

ბას განაპირობებს არამხოლოდ და არაიმდენად ჩაგრული ხალხების ეროვნულ-განმთავისუფლებელი მოძრაობა, რამდენადაც მეტროპოლიაში, მჩაგვრელ ერში მომხდარი სასიკეთო ძვრები. აზია-აფრიკის ნახევარკუნძულები ან მთლად კულური ერები ვერასოდეს დაპირებდნენ ბრძოლის ველზე ევროპულ ზესახელმწიფოებს, თვითონ ფრანგები, ინგლისელები, ბელგელები, პორტუგალიელები რომ არ ამალღებულყვენ სხვა ერთა დამენების ამორალური შეგნებამდე. მაგრამ ასეთი ამალღება ერთ-ბაშად არ მომხდარა. გავიხსენოთ, რამდენი საშინელმა ჩაიდინეს კოლონიებში იმ ერებმა, რომელთაც

მოსკოვსა და ლენინგრადში ანუ რუსეთის ყველაზე ცივილიზირებულ, განათლებულ ქალაქებში დემოკრატიულმა მუნიციპალური არჩევნების დროს გამანადგურებელი მარცხი ავდმეს კონსერვატორებსა და შოვინისტებს.

გაეოხეაუკაა ნუ განვაზოგადებთ

5 იანვრის ნომერში გამოქვეყნებულმა ვ. ქლენტის წერილმა — „Горбачи და სხვები“, ჩვენს მკითხველთა ერთი ნაწილის სერიოზული უკმაყოფილება გამოიწვია. გარკვეულად კიდევ ეთანხმება მათ რედაქციას, რომელიც სრულბნითაც არ ისახავდა მიზნად მთელი რუსი ერის შეურაცხუფას. ეს იყო კერძო პირის მოხარება და მას არ ჰქონია ჰეშმარტების პრეტენზია. ის შეგანძლიათ გაიზიაროთ ან არ გაიზიაროთ. ამასთან, იმეც გასათვალისწინებელია, რომ ავტორის მიერ გაყეთებული დასკვნები, ძირითადად, ისევე და ისევე, რუსი მოღვაწეებისა და მკვლევარების მოხარებაზე ეყარება.

ობიექტურობის დაცვის მიზნით და ჩვენი პოზიციის გამოსაყვეთადაც ვაქვეყნებთ რედაქციაში შემოსულ წერილს, რომელიც შემოთაღნიშნულ საკითხს ეხება.

დღეს ცივილიზირებულობისა და ჰუმანურობის ეტალონებად ვთვლით. ასე რომ, კოლონიალიზმი სრულიადაც არ არის წმინდა რუსული რეციდივი ან რუსთა გიგანტური თვისება. ის გარემოება, რომ ევროპელებმა უკვე მინიჭეს თავიანთ კოლონიებს თავისუფლება, რუსეთმა კი — არა (თუმცა რუსეთშიც გაათავისუფლა აღმოსავლეთი ევროპა), აიხსნება არა დასავლეთი ევროპელთა გენეტიკური უპირატესობით რუსებზე, არამედ იმით, რომ დასავლეთის ქვეყნებში უკვე დამყარდა სრულიად დემოკრატიული რეჟიმები. დემოკრატიის განხორციელებისათვის გადაწყვეტი მიიღველბა სწორედ დემოკრატიის გამარჯვებას აქვს, რადგან იგი ჰქმნის პირობებს საიმიტოსო შეილება თავიანთ რიგით თანამემამულეებს განუმარტონ სხვა ერთა დამყარების უზნეობა და წამგებიანობა (დაიხ, კოლონიალური პოლიტიკა საბოლოო ანგარიშით ეკონომიკურადც წამგებიანია). აი, ესე იწყებს ამოქმედებას დეკოლინიაციის მექანიზმი.

სხვათა შორის, რუსეთმა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებზე ადრე გაათავისუფლა თავისი კოლონიები (მათ შორის საქარკელოც) თებერლის დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ. მაგრამ, საშეუაროდ, ბოლშევიკებმა აღადგინეს იმპერია, რისთვისაც პირველყოფისა მოუზღადათ დემოკრატიის დამხობა თვით რუსეთში, რუსი ერის საუკეთესო შვილთა — ინტელიგენციის, არისტოკრატიის ფიზიკურად განადგურება ან ემიგრაციაში გაქცევა. შემდეგ ფაქტიურად თავმოკეთილ რუს ერს დაატეხეს მრავალთწლოვანი ჯოჯობითი ტერორი და ჯოჯობითური პროპაგანდა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ის კი არ არის საკვირველი, რომ დღეს რუსეთში დემოკრატია სუსტია, არამედ ის, რომ საერთოდ არის იგი. თან ანგარიშგასაწყევ ძალასაც წარმოადგენს;

გამოვდივართ ინიციატივით და თუ კანდიდებთ არ ჩამოგვერთმევა, მივმართავთ საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენლებს, პარტიებს, ასოციაციებს, საზოგადოებებს, ერის მომავალს — ჩვენ სახელოვან ახალგაზრდობას, ორგანიზაციებს, ცალკეულ პირებს და ა.შ. გამოენამაურონ ჩვენს მოწოდებას და მიიღონ მოხაწილეობა დიალოგში.

შეთანხმებისათვის წინასწარ შეხედარზე გიწვევთ ა. წ. 15 იანვარს 17 საათზე შემდეგ მისამართზე: მიცკევიჩის 29, ქალაქის ქანდაკვის სამმართველოს საკონფერენციო დარბაზი, რთა ერთობლივად შევიწყოთ დიალოგის მოწყობის ორგანიზაციული მხარე და ერთიანი კონცეფცია აღნიშნულ საკითხზე.

გინვენი დიალოგზე

ყველასათვის ცნობილია რომ რესპუბლიკაში არსებული დღევანდელი ვითარება უპირველეს ყოვლისა განაპირობებულია იმით, რომ საბჭოთა იმპერიამ ვერ ურიგდება ერის ლტოლვას, დამოუკიდებლობისაკენ და სხვადასხვა მიზნული ზეზბებით ცდლობს ქართველი ხალხი ააციდინოს თავისუფლებისაკენ მიმავალ გზას.

პარადოქსალურად ვითარდება მოვლენები. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოსდა მოხუცებული ვით ჩვენვე ვეზმარებით იმპერიულ ძალებს თავიანთი ავი ზრახვების განხორციელებაში.

ლსაყრელ მომენტს ხელიდან არ გაუშვებენ ცივილები, ბორტებით, კაცთმოძულეობით საქვეყნოდ ცნობილი საბჭოთა იმპერიის შოვინისტი დიქტატორები.

შექმნილ სიტუაციაში ცხადია სრულიად ბუნებრივი და გოხოვრული იქნებოდა პოლიტიკური პარტიების ურთიერთთანხმობა და საერთოდ მთელი ერის კონსოლიდაცია, მაგრამ ნაცვლად ამისა, საქართველოში ამ მხრივ თითქმის

ამ აუცილებელ ერის სასიცოცხლო მიზნის მისაღწევად ბევრჯერ გადადგმულა ნაბიჯები, რასაც, სამწუხაროდ, რეალური შედეგი არ მოჰყოლია.

მოსახლეობის ფიზიკური განაწილების სრულიად საქართველოს ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, საზოგადოებრივი საქმიანობისა და ეროვნული მოძრაობის ხელშემწყობი სექციის თავმჯდომარე და დიალოგის საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელი.

შექმნილ სიტუაციაში ცხადია სრულიად ბუნებრივი და გოხოვრული იქნებოდა პოლიტიკური პარტიების ურთიერთთანხმობა და საერთოდ მთელი ერის კონსოლიდაცია, მაგრამ ნაცვლად ამისა, საქართველოში ამ მხრივ თითქმის

# რა არის გლახური მემკვიდრეობა?

(დასასრული)

მომდინარე მიგვაჩნია, რომ ნებისმიერი ტიპის მემკვიდრეობა ფორმის და შინაარსის მიხედვით უნდა შეიქმნას ნებაყოფლობით, ადგილის, დროის და პირობების მიხედვით, მწარმოებელთა თავისუფალი არჩევანის საფუძველზე მისი სარგებლობიდან გამომდინარე.

ამგვარად, გლახური მემკვიდრეობის შექმნის იდეა და მისი შინაარსი კრიტიკის ვერ უძლებს. უფრო მეტიც, მისი განხორციელება დასაბამის მისცემდა თავისებურ გლახობა თუ სოფლად საუკეთესო მშენებლის ნაკვეთისათვის, რასაც საბოლოოდ მოაქვდა სოფლის მონახლეობის გათიშვა.

მაშ, სად არის გამოსავალი, როგორ ვუშველოთ დეგრადაციის

გზაზე დამდგარ სოფლის მემკვიდრეობას? ჩვენი აზრით, უნდა შეიქმნას სოფლის მემკვიდრეობაში ეკონომიკური პოლიტიკა, უნდა აღდგეს საქართველოს მიწათმოქმედების ისტორიული ტიპი მარცვლეული კულტურების წარმოების და მეცხოველეობის უპირატესი განვითარებით, მოხდეს ვენახების ფართობების შემცირება. ამჟამად არსებული ვენახების 60 პროცენტი გაშენდა 1955-1964 წლებში, ვენახების გაშენების ტენდენცია დღემდე გრძელდება.

აღნიშნულის გარდა საჭიროა 1956-1963 წ. წ. გამსხვილებული კომპლექსური მემკვიდრეობების დაყოფა მცირე კომპლექსურებად. შრომის ორგანიზაციის მრავალფეროვანი ფორმების გამოყენებით (იჯარა, გაბიროვნება, ერთობროვნული მე-

ურნეობა კომპლექსურების შიგნით), სადაც კომპლექსურება შეასრულებს მექანიზაციის, ტვირთხელის და ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების ამოცანებს, ამასთან იგი შეასრულებს სახელმწიფო შეკვეთების, მოსავლის აღების და დაბინავების ფუნქციას.

ეს მიდგომა არ გამოიცხადებს ერთმანეთს მემკვიდრეობის შექმნას, მითან რაიონებში და ზოგიერთ სხვა ადგილასაც. ამ შემთხვევაში ზემოაღნიშნული ჩვენ დასკვნები, ემყარება მიწათმოქმედებაში საქართველოს და შრომის ორგანიზაციის ისტორიულ ტენდენციას.

**გუარამ უსტაშვილი,**  
ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

# საინფორმაციო საიდუმლო

ლონდონის მაღალი საზოგადოების მოდების კანონმდებელმა, ყველაზე ავანგარდული ატელიე-ეს მფლობელმა შოკეტა ბერდენმა თავის ულტრამოდერნულ სალონში მივიღეთ.

— მომავალი წლისათვის, — განვიცხადა მან, — ახალი სტილი შემოიჭრება — ხის პლასტიკა, ოთხშემათის ჩემი ახალი კაბების, კოსტიუმებისა და პალტოების კოლექციით ნიუ-იორკში მივფრინავ, ყურადღება მიაქციეთ ჩემს ჩაცმულობას.

მას ეცვა ელასტიური ფანერის კარგად მომდგარი ხალათი-კაბა, არყის ხის ქერქის წინდები, რომლებიც ყოველი ნაბიჯის გადაღმამზე ტკაცუნობდნენ. ფეხზე ემოსა ნატურალური ფეხის ელვანტური კალაპოტები. ხელში ასევე ფეხის ჩანთა ეკავა. თანაც ძლიერ

უხდებოდა ხის ბურბუშელის ფრიალა პარკი.

— ეს მე პირველმა მოვიგონე, — თქვა მან — ახლა ყველა ქალი ჩაიცვამს ნიჟიკა და ნუჯრით სავეს შესანიშნავი ბუნებრივი ხის ტანსაცმელი.

შოკეტამ სიგარეტს მოუკიდა, ალი დაუყოვნებლივ მოედო მისი პარკის ბურბუშელის კულულებს. მან დაუღვევრად გააუფხვრებლყო გაჩენილი ხანძრის ბუდე და განაგრძო:

— ვფიქრობთ, გაზაფხულისათვის მოვამზადო კოლექცია სახელწოდებით „ხმა და შექი“, ესე იგი, ტანსაცმელი, რომელიც ჩამონტაჟდება ელექტრონათურები და ხმის ჩასაწერი ლენტები. ვინც ამ კაბას ჩაიცვამს, ერთიანად იციმციმებს და იკიფებს. ხმისა და შექის გამოთვა შეუძლებელი იქნება. ჩემი ელექტრომინტრო-

რები და ხმის ინჟინრები ახლა ამაზე მუშაობენ.

შოკეტა გატაცებით განაგრძობდა თავისი შემოქმედებითი ჩანაფიქრის გაზიარებას:

— ამას გარდა მინდა გავაოცო სამყარო რაღაც სრულიად ახლითა და გადასარებით.

გაბრალებული ფანერის ფრჩხილებით შემოკობილი თითები ნერვიულად ააქაუნდა მაგიდაზე და ნერვიულად დაიხურჩულა:

— ვიმედოვნებ, ჩემს საიდუმლოებას შეინახავთ და გამოიტყუებით. ვოცნებობ, შევქმნა ისეთი რამე, რაც ჯერ არავის ახრადაც არ მოსვლია: ნამდვილი რბილი ქსოვილის ტანსაცმელი, ტყავის ფეხსაცმელი და ჩანთაც ისეთივე ტყავისა... მაგრამ, იცით, რაშია საქმე? მეშინია, რომ ეს მტელსმეტად ორიგინალური და გაბედული ნაბიჯი იქნება... ისე ვივლავ...

შოკეტამ მღელვარებისაგან ცრემლებიც კი გადმოყარა. მერე თვალები და ნამდვილი პარკის წიწვიანი ხელოვნური წამყამები პერლონის კობტა ცხვირსახოტი შეიმშრალა.

**რატომ** ჰქვია იანვარს იანვარი? ჩვენს ერამდე 46 წელს ძველი რომის იმპერატორმა იულიუს კეისარმა ეგვიპტელი ასტრონომის სონჩიგენის რჩევით ახალი წლის დასაწყისი მარტიდან პირველ იანვარს გადაიტანა. ასე იქცა იანვარი ახალ წლად. ბავშვობიდან გვქმს ახალი წლის განახლების სასწაული. იქნებ სწორედ ამიტომაც მიიღო იანვარმა თავისი სახელწოდება რომაული მითოლოგიაში დროის, ყოველგვარი დასაწყისის და დასასრულის, ორი პირისაზით გამოსახული მითოური ღვთაების — იანუსის მიხედვით.

ამ სახელის მსგავსად უწოდებს მსოფლიოს ხალხთა უმეტესობა წლის პირველ თვეს: მოლდაველები

**ეს საინტერესოა**

**იანვარი**

ბი — იანუარის, ესტონელები — იანუარიუსი, უნგრელები, გერმანელები, ნორვეგიელები, დაბიელები და ებრაელები — იანუარს, შვედები და პოლანდიელები — იანუარის, არაბები — იანაირს, ინგლისელები — ჯენიუარის, იტალიელები — ჯენაიოს, პორტუგა-

ლიელები — ეანიეროს, ესპანელები — ენეროს, ბერძნები — იანუაროს.

ძველ სლავებში თვეების დასახელება შეიძლოდ იყო დაკავშირებული წლის ბუნებრივ მოვლენებსა და საგლებო სამუშაოებზე დაკვირვებებთან.

წლის პირველი თვის ყველაზე ახლო ნათესაობა გაზაფხულთან ხალხმა ანდაზით ასე გამოხატა: „იანვარი გაზაფხულის პაპააო“. ამიტომ ხომ არ არის, რომ საახალწლო დღესასწაულებზე თოვლის პაპას თან ახლავს გაზაფხულის ნორჩი ქალიშვილი — ფიფია?

**მომავალი**  
**შოთა ამირანაშვილი**

# მეცხრეკლასელთა საყურადღებოდ!

**საერთაშორისო ორგანიზაციის „მსოფლიო ლაბორატორიის“ საქართველოს სამცხე-აბსახაზე მსმენელთა მიღებას**

1. საქართველოს ისტორია, კულტურა, რელიგია.
2. ქვეყანათმცოდნეობა (რესურსები, სოციალურ-პოლიტიკური პროცესები).
3. საერთაშორისო ურთიერთობათა საფუძვლები (პოლიტიკა, დიპლომატია, სამართალი, ფინანსები).
4. ინგლისური ენა (ჯგუფში იმეცადინებს არაუმეტეს 4 მოსწავლის).
5. პერსონალური კომპიუტერი.
6. ავტომატიკის მართვა (მართვის უფლებების მიღების).

7. კარაქი.

8. ფსიქოლოგიური ტრენინგი.

მეცადინეობებს ჩატარებენ შენაბამისი დარგების კვალიფიცირებული სპეციალისტები თბილისის უმაღლესი სასწავლებლებიდან და სამეცნიერო დაწესებულებებიდან. პერიოდულად კი საზღვარგარეთის სასწავლო ცენტრებიდან.

სწავლების ვადაა 12 თვე (სამი სემესტრი).

ცენტრი სრულსამეურნეო ანგარიშზეა. სწავლის ფასია 175 მანეთი თვეში. თანხა შესაძლებელია გადაიტანოს იქნეს სპონსორის მიერ (სემესტრში 1000 მან.). ცენტრის მსმენელად ჩარიცხება 50 მოსწავლე.

მისაღები გამოცდები ჩატარდება 1991 წლის 26-27 იანვარს შემდეგ საგნებში:

1. ინგლისური ენა ა) ზეპირი — გასაუბრება. ბ) წერა — მოსმენილი უცხო ტექსტის შინაარსი.

2. ფსიქოლოგიური ტესტირება (ინტელექტისა და უნარის შემფასებელი კომპიუტერული ტესტები. კომპიუტერული ტესტიკის ფლობა სავალდებულო არ არის.) განცხადებების მიღება იწარმოება 1991 წლის 10 იანვრიდან 20 იანვრამდე, 11 საათიდან 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: დავით აღმაშენებლის გამზირი 68. 1 სართული.

მეცადინეობები დაიწყება 1991 წლის 4 თებერვალს თბილისის №1 საშუალო სკოლაში (ლესია უკრაინკას ქუჩა №2) და ჩატარდება ჯერჯერობით სამშაბათს, ხუთშაბათს 15-დან 18 საათამდე. შაბათს 11-დან 15 საათამდე.

ცნობებისათვის ტელ: 95-79-24.

შენიშვნა: „მსოფლიო ლაბორატორიის“ საქართველოს ცენტრის მსმენელის სტატუსი არ წარმოადგენს რაიმე პრივილეგიების საფუძველს განათლების სხვებში. უკრაინკას ქუჩა №2) და ჩატარდება ჯერჯერობით სამშაბათს, ხუთშაბათს 15-დან 18 საათამდე. შაბათს 11-დან 15 საათამდე.

ცნობებისათვის ტელ: 95-79-24.

შენიშვნა: „მსოფლიო ლაბორატორიის“ საქართველოს ცენტრის მსმენელის სტატუსი არ წარმოადგენს რაიმე პრივილეგიების საფუძველს განათლების სხვებში. უკრაინკას ქუჩა №2) და ჩატარდება ჯერჯერობით სამშაბათს, ხუთშაბათს 15-დან 18 საათამდე. შაბათს 11-დან 15 საათამდე.

**„ახალგაზრდა ივერიელი“**

ამ წერილს წლების განმავლობაში კომუნისტების მიერ ციხეში ნატანჯი ქალი გწერთ, რომელიც არც ტელევიზიითა და არც პრესაში გამოსვლებითაა განეხილებული, არც რომელიმე პარტიის წევრი ვარ, არც ვინმესთან პირადი ნაცნობ-მეგობრობა მაქვს. ვიცი, მხოლოდ ერთხელ ბატონმა ზვიად გამსახურდიამ მრავალათასიანი მიტინგზე ჩემი თხოვნით სიტყვა მომცა. პირველად მაშინ მომეცა საშუალება მეტყვა ჩემს გასაჭირზე ძველი რეჟიმის პირობებში. არ იფიქროთ, ახლა მე პირადი ტყვიები მაღაპარაკებდეს. აბა, საერთო სატყვიარზე შემტკივა გული, იმაზე, რომ როცა ღმერთისა და ჩვენი ერის გონიერების წყალობით მოგვეცა საშუალება უმკურნალოთ საქართველოს, მოვეუშუშეთ პირობები, სწორედ ახლა დავერიეთ ერთმანეთს, ყელში გვიღია ვწვედით ახალ უზენაეს საბჭოს და ნაცვლად იმისა, რომ დავინახოთ, შეგვფასოთ და ვალია რომ მისი გადაწყვეტილებების დიდი მნიშვნელობა, მიღებული კანონების დროულობა, წერილობით განცხადებით და ვცდილობთ ბუნებრივად წარმოვადგინოთ. მარტოს რად ღირს და ამის დაუნახობა პოლიტიკური სიბრძნეა, როცა ახალმა ხელისუფლებამ როგორი მტკიცე ნაბიჯები გადადგა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვისათვის. ათწლეულების განმავლობაში უმოწყალოდ რომ იძარცვებოდა ჩვენი მიწა-წყალი, ახლა როგორც იქნა საზღვარი ედება ამ ანტიქართულ საქმიანობას, აღარ გაიყიდება ჩვენი საქართველო. ჩვენი

თქვენი გაზეთის 5 იანვრის ნომერში დაბეჭდილი ჩემს წერილში — „ჩემი უყველა... ახლ დეპუტატმა სანაძლოე მოიგო“, რედაქციის მიზნით დაშვებულია ორი შეცდომა, რომლებზე მიუთითებლობაც ვფიქრობ, მკითხველთა მიმართ უპატივცემულობის ტოლფასი იქნებოდა, როგორც ჩემი, ასევე რედაქციის მხრიდან.

ქვემოთ, წერილის ავტორად იხსენიება დურმიშანი გოგოლაშვილი

და არა გრიგოლაშვილი და, ამასთანავე, წერილი, რომელიც 23 დეკემბერს წარმოვადგინე რედაქციისთვის, რატომაც 17 დეკემბრითაა დათარიღებული.

არადა, ვინც ამ წერილს გაეცნო, ყველა მისვდება, რომ მისი დაწერა 20 დეკემბრამდე, უბრალოდ, შეუძლებელი იყო!

**პატივისცემით**  
**დურმიშანი გრიგოლაშვილი**

**მცირე ხარედაქციო განმარტება.** აღნიშნულ წერილზე ზელოწყურა გაურკვეველია, რამაც გამოიწვია შეცდომა, ბოლო რიცხვი 17 დეკემბერი ანაბეჭდზე თვით ავტორის მიერაა მიწერილი.

„ახალგაზრდა ივერიელი“




## თბილისში უყვართ მინი-ფეხბურთს...

...წინდაწინ ვთქვით — თბილისური მინი-ფეხბურთი ამჟამად ძალიან მალაღობა დონეზე დგას. ამის კიდევ ერთი ნათელი დადასტურება იყო ამასწინათ დამთავრებული თბილისის ჩემპიონატი უბნების შორის. ერთ თვეზე მეტხანს გრძელდებოდა ეს მართლაც მთავარი შეჯიბრება, რომლის ორგანიზატორიც გახლდათ მრავალჯერობრივი კომერციული ფირმა „ნარიყალა“.

მაგრამ, განსაკუთრებით დაძაბულად მიმდინარებდა მატჩები მეოთხედფინალებიდან. სწორედ ამ ეტაპზე შეხვდა ერთმანეთს გათამაშების ორი აშკარა ფავორიტი — „ვერა-1“ და „დიდუბე-1“. ორი ტაიმის განმავლობაში სახიფათო მომენტები ზან ერთ კართან იჭმებოდა, ზან მეორესთან და ორივე გუნდის მეკარეებსაც — ვერელ ზაზა ნატროშვილს და დიდუბელ პლატონ ხუციშვილს სამუშაო არ მოჰკლებიათ. ასევე გამოიჩინეს თავი გააზრებული თამაშით მძებ-

მა — რევაზ, აჩიკო და შოთა არველაძეებმა, დავით ცომაია, ნოდარ გიგოლაშვილმა, გოჩა ჯობაძემ, რომან შოთაძემ. მაგრამ ამ შეხვედრაში, ისევე როგორც მთელ ტურნირზე, მაინც ორი ფეხბურთელის გამოყოფა გვინდა — ვერელი ლევან ყიფიანის და დიდუბელი მამუკა ფანცულაისი. საბოლოოდ, ეს დაძაბული და მეტად ლამაზი შეხვედრა პენალტების სერიით ვერელეებმა მოიგეს და ნახევარფინალში გავიდნენ. აქ კი მათი მეტოქე გახლდათ „ჩუღურეთის“ მეტად საინტერესო კოლექტივი, სადაც ტონის მომცემი იყვნენ გოჩა გეგეშიძე, გოლა და დავან, თემურ შალაშვილი და, განსაკუთრებით, დავით სოლოიაშვილი. ამ უკანასკნელმა ბევრი თავსატეხი გაუჩინა „ვერა-1“-ის გამოცდილ მცველებს, მაგრამ შედეგი არ მოჰყოლია. მატჩის მიწურულს კი რევაზ არველაძის შესანიშნავი სოლო რეიდი გამარჯვების გოლით დაამთავრა ლევან ყიფიანმა და თავისი გუნდი ფინალში გაიყვანა.

...და აი, ფინალიც, სადაც მართლაცდა ღირსეული მეტოქეები შეხვდნენ ერთმანეთს — „ვერა-1“ და „საბურთალო-11“.



გვინდა აღვნიშნოთ 17 წლის გოგონა ანაბაძის საკმაოდ გააზრებული თამაში. საბოლოო ჯამში „საბურთალო-11“-ის ფეხბურთელებმა პირველად მოიპოვეს თბილისის ჩემპიონის სახელი და ამასთან ფულადი პრიზიც — 4000 მანეთი დისსაქურტეს. მეორე აღგილებს გასულ „ვერა-1“-ის გუნდს, რომელიც გულშემატკივართა სიტყვებით, ამ ტურნირის „უგვირგვინო ჩემპიონები“ იყვნენ, გადაეცათ 2000 მანეთი, ხოლო შესამებზე გასულ „დიდუბე-11“-ს კი 1000 მანეთი.

შეჯიბრების ორგანიზატორების, კომერციული ფირმა „ნარიყალა“ მეთაურებზე დაწესებული იყო ინდივიდუალური პრიზებიც, რომლებიც შემდეგნაირად განაწილდა: საუკეთესო ფეხბურთელი — რევაზ არველაძე („ვერა-1“), საუკეთესო მეკარე — ლაშა გეგეჭკორი („საბურთალო-11“), საუკეთესო მცველი — ნოდარ გიგოლაშვილი („ვერა-1“), საუკეთესო ბომბარდირი — მამუკა ფანცულაია („დიდუბე-1“) — 17 გოლი.

**„555 საბინაო კომპერატივი „ნაპრაზი“**  
აუქციონის ჩატარების წესით აქირავენ შენობის პირველ სართულზე 360 კვ. მეტრ არასაცხოვრებელ სადგომს. ფირმებთან და ერთობლივ საწარმოებთან საიჯარო ქირის განსაზღვრა მოხდება სახელმწიფო რეგულაციების ფარგლებში.  
მსურველებმა მიმართონ კომპერატივის გამგებებს, ვარკეთილი 3, 111 „ა“ მიკრორაიონი, კორპუსი 358, V სადარბაზო, ბინა 71 ან 81.

**გელით ტაქსართან**  
ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარისის“ სათნოების ორდენი შეახსენებს ყველას, ვისაც სურვილი აქვს კვირაში ერთი დღე თავის უკიდურესად გაჭირვებულ თანამოქმედს დაუთმოს, რომ შაბათს 11 საათისათვის ორდენის წევრები ტრადიციულად იკრიბებიან ქაშუეთის ტაძრის ეზოში.  
ჩვენი ყველაზე გაჭირვებული თანამოქმედებისათვის სამყოფ მოსაკითხს ამჯერად აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის თანამშრომლები გაიღებენ.

**წიგნის მოხარულთა საუბრადღამე!**  
საგამომცემლო კომპერატივი „ლოლი“ გაცნობებთ, რომ 1991-1994 წლებში გამოცემული „მეორე რაიონი“ ერთად გამოსცემს „საზღვარგარეთული ლექსების“ 10-ტომეულს, რომელიც მოიცავს ამ ენის რჩეულ ნაწარმოებებს მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრიდან დღემდე.  
გამოსაცემა წიგნის უმრავლესობა ითარგმნება პირველად და უცნობია ქართული მკითხველისათვის.

**სიახლე მკოლოთა მოგზადაზი**  
თუ თქვენ გადაწყვიტეთ მსუბუქი ავტომობილის მართვის მალაპროფესიულ დონეზე დაუფლება და სათანადო მოწოდების მიღება და ამავდროულად განიცდით დროისა და ფინანსების დეფიციტს, ნულო დააყოვნებთ და მიაკითხეთ ქ. თბილისის მომსახურების საწარმოო ფირმა „ინტელექტუალის“ მძღოლთა სასწავლო-საკონსულტაციო კურსები. აქ მძღოლთა მომზადების საინტერესო სიახლეა დაინერგა. თუ თქვენ ავტომობილის ტარება უკვე იცით და მხოლოდ თეორიული მომზადება გესაჭიროებათ, კურსების კომპეტენტურ კომისიისთან გაივლით კვალიფიკაციის გამოცდის ავტომობილის პრაქტიკულ ტარებაში და დადებით შედეგს შემთხვევაში თავისუფლდებით ტარების სწავლების მეცადინეებიდან და ამავდროულად სწავლის საფასურს გადაიხდით 130 მანეთით ნაკლებს ჩვეულებრივთან შედარებით.  
ხოლო, თუ თქვენ ავტომობილის ტარების სწავლების მთლიანი კურსის ან გარკვეული რაოდენობის საათების გავლა გესაჭიროებათ, მაშინ სწავლის საფასური შესაბამისი რაოდენობით იქნება გადასახდელი.  
ავტომობილის მართვის სწავლების აღნიშნული მეთოდი მსმენელებს გამოუნთავისუფლებს ყვირვას დროს და სწავლა ფინანსურად ხელმისაწვდომი გახდება ყველასათვის. ამასთან კურსდამთავრებულ პირებს შესაძლებლობა ეძლევათ მიიღონ სერტიფიკატი მართვის მოწოდება.  
თუ სწავლების ეს სიახლე მოგეწონათ, მიმართეთ მძღოლთა სასწავლო-საკონსულტაციო კურსებზე. დარწმუნებული იყავით, რომ თქვენ იქ გულითადად გელიან.  
კურსებზე დასაბუთებ ყველას, ვისაც 18 წელი შეუსრულდა, აქვს განმრთვების საბედრობა შემოწმების ცნობა, თბილი ფოტოსურათი ზომით 3,5X4,5 სმ.  
სწავლის ხანგრძლივობა თვენახევარს შეადგენს. ავტომობილის ტარების სწავლება იწარმოებს მსმენელისათვის სასურველ დროს. კურსების მისამართია: თბილისი, ჭიჭიას ქ. № 3, 97-ე პროფტექნიკური სასწავლებლის შენობა. მსურველებს მიიღება ყოველდღე, გარდა შაბათ-კვირისა 16.00 საათიდან 19.00 საათამდე.

**პორის პოლიმიკური ინსტიტუტი**  
აცხადებს, რომ 1991 წლის მიხედვით გამოცემის სპეციალიზების მიხედვით ჩატარდება შემდეგ დისციპლინებში:  
1. ქართული სექტორის სპეციალიზებზე — ფინანსები და კრედიტი; სტატისტიკა; საბუნალოლო აორციხვა, კონტროლი და სამეურნეო საქმიანობის ანალიზი. აბარებენ გამოცდებს შემდეგ დისციპლინებში: მათემატიკა (წერა), გეოგრაფია (ზეპირი), საქართველოს ისტორია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), შრომა,  
2. რუსული სექტორის სპეციალიზებზე — საბუნალოლო აორციხვა, კონტროლი და სამეურნეო საქმიანობის ანალიზი; მათემატიკა (წერა), გეოგრაფია (ზეპირი), საქართველოს ისტორია (ზეპირი), რუსული ენა და ლიტერატურა (წერა).  
ვიმღავი კომისია

**ვიმღავის სათარგმნელად და ანკეპების შესაქმნად**  
გთხოვთ მიმართოთ ფირმა „ზენეს“, რომლის ადგილსამყოფელიც გადატანილია პეტრიაშვილის ჩიხიდან პეტრიაშვილის ქ. № 3-ში. ვიზების თარგმანს ხდება ერთ დღეში. ფირმა „ზენეს“ თქვენ მივლავთ ყოველდღე, დასვენების დღეების ჩათვლით, 9-დან 21 საათამდე.  
გთხოვთ გვეწვიოთ.

**საზღვარგარეთული**  
Обществено-политическая молодежная газета  
«Ахалгазда Иверელი»

ტელეფონები: მისაღები — 98-97-31;  
ახალბეებისგან — 98-31-58;  
წამყვანების განყოფილება — 98-00-49.

გაზეთი გავრცელების კვირაში საზღვარგარეთ, სათუხაბათს, შაბათს.  
რედაქციაში შემოსული მისაღები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

**რედაქტორი**  
ვიკარე ვალარაჯიშვილი

საქართველოს კ. ც. -ის სტამბა 330096, თბილისი-96, შ. კობახიძის ქ. № 14, იბეჭდება რედაქტორის წინააღმდეგ კორპუსში, სომარაული № 19, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15. **Наши выходные 66400**

რედაქციის მისამართი  
ქ. თბილისი — 380096  
შ. კობახიძის ქ. № 14.

**ფ**